## ДОГОВОР АРЕНДЫ

г. Тбилиси
«16 декабря» 2011 г.

ООО «Диасахлиси» далее именуемые как Арендодатель, в лице директора Гурама Гулбани с одной стороны, и АО «ПРИВАТБАНК», далее – Арендатор, в лице Председателя правления г-на Лесюк Б. М, с другой стороны, согласно действующему законодательству Грузии заключили данный Договор о нижеследующем:

### 1. ОБЩИЕ ПОЛОЖЕНИЯ

1.1.Арендодатель передает в аренду Арендатору находящуюся в собственности Арендодателя имущество (170 к,м), расположенную по адресу: Г. Тбилиси, противоположный краи ул. Хомлели №3 и Хомлели №3а, Кадастровый код 01.19.20.009.091.
1.2. Арендодатель подтверждает, что Арендное Имущество принадлежит ему с правом собственности, не существует какого-либо сособственника или оспаривающего лица, которое может заявить законные претензии на Арендное Имущество.
1.3. Данный договор действует 05 лет с момента подписи.
1.4. Данный Договор после истечения срока его действия будет продлен на
прежний срок и на прежних условиях, если какая-либо из сторон заранее за шесть месяцев до истечения срока действия Договора письменно не заявит об отказе от продления его срока действия.

### 2. ПОРЯДОК ПЕРЕДАЧИ АРЕНДНОГО ИМУЩЕСТВА В АРЕНДУ

2.1. Передача Арендного Имущества в аренду осуществляется сторонами совместно, с оформлением соответствующего акта приема-передачи.
2.2. Прием и передача Арендного Имущества должна быть осуществлена не позднее дня оформления договора

### 3. АРЕНДНАЯ ПЛАТА И ПОРЯДОК ОПЛАТЫ

3.1. По соглашению между сторонами ежемесячная арендная плата составляет 4800 лари (включая всех действующих в Грузии налогов).
3.1.1 Выплата арендной платы начинается со 1 марта 2012 года.
3.2. Арендатор обязан ежемесячно, до 15-го числа каждого последующего месяца оплачивать стоимость аренды.
3.3. Арендатор перечисляет стоимость аренды на

## საიჯარო ხელშეკრულება

ქ. თბილისი
16 დეკემბერი 2011 წ.

შპს "დიასახლისი" წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამ გულბანის სახით, შემდგომში "მეიჯარედ" წოდებულნი, ერთის მხრივ სააქციო საზოგადოება "პრივატბანკი" წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ბოგდან ლესიუკის სახით, შემდგომში "მოიჯარედ" წოდებული, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ზოგადი დებულებანი

1.1. "მეიჯარე" იჯარით გადასცემს "მოიჯარეს" მის საკუთრებაში არსებულ ქონებას (170 კ/მ), მდებარე: ქ. თბილისი, ხომლელი #3 და ხომლელი #3ა ქუჩის მოპირდაპირედ, საკადასტრო კოდი 01.19.20.009.091.
1.2. "მეიჯარე" ადასტურებს, რომ საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მას, არ არსებობს სხვა რომელიმე თანამესაკუთრე, მოდავე ან პირი, რომელსაც შეუძლია კანონიერი პრეტენზია განაცხადოს საიჯარო ქონებაზე.
1.3. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება იდება მისი ხელმოწერის თარიღიდან 05 წლის ვადით.
1.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდება იმავე ვადით და პირობებით, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე.

### 2. საიჯარო ქონების იჯარაში გადაცემის წესი

2.1. საიჯარო ქონების გადაცემა ხორციელდება მხარეთა მიერ ერთობლივად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
2.2. საიჯარო ქონების მიღება–ჩაბარება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ხელშეკრულების გაფორმების დღისა.

### 3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

3.1. მხარეთა შეთანხმებით ყოველთვიური საიჯარო ქირა, შეადგენს 4800 (ცხრაათასცხრაასთხუთმეტი) ლარს (საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის ჩათვლით).
3.1.1. საიჯარო ქირის გადახდა იწყება "მოიჯარის" მიერ 2012 წლის 1 მარტიდან.
3.2. "მოიჯარე" ვალდებულია ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე დაფაროს იჯარის საფასური.
3.3. იჯარის საფასურს "მოიჯარე" რიცხავს "მეიჯარის" კუთვნილ ანგარიშებზე, რომელიც „მეიჯარეს" გახსნილი აქვს „მოიჯარესთან" სს პრივატბანკში, მის რომელიმე

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

открытые у него счета Арендодателя (в АО «ПРИВАТБАНК», в одном из его филиалов/отделений).
3.4. Арендная плата включает в себя все установленные по законодательству налоги и не включает в себя расходы на электроэнергию, природный газ, уборку, водоснабжение, телефон и Интернет, подлежащие оплате Арендатором.
3.5. Арендодатель берет на себя обязанность заплатить половину Суммы для регистраций в гос. Реестре всего 27,5 ларов, арендатор эту сумму спешить счетов сразу после зачисления на счетов арендной платы.
3.6. Стороны имеют право, в случае внесения изменений в законодательство, изменении конъюнктуры рынка, иных существенных условий, инициировать пересмотр размера арендной платы. Изменение размера арендной платы осуществляется путем подписания Сторонами дополнительного соглашения к настоящему договору.

## 4. СВЯЗАННЫЕ С АРЕНДНЫМ ИМУЩЕСТВОМ ПРАВА

4.1. Носителем правового бремени на Арендное Имущество является Арендодатель.
4.2. Если Арендодатель совершит отчуждение Арендного Имущества в пользу третьего лица, то приобретающий занимает место Арендодателя и на него переходят права и обязанности по арендному Договору. Арендодатель несет ответственность за продление арендных отношении Арендатора с совершившим приобретение лицом, в соответствии со сроком и условиями настоящего Договора.
4.3. Арендатор имеет право оставить себе то, чем он оборудовал Арендное имущество.
4.4. Арендодатель дает согласия Арендатору передать Арендное имущество в субаренду третьему лицу.

## 5. ПРАВА И ОБЯЗАННОСТИ СТОРОН

5.1. Арендодатель обязан:
5.1.1. Своевременно передать Арендное Имущество Арендатору в предусмотренном по данному Договору порядке, в состоянии, пригодном для оговоренного по данному Договору пользования;
5.1.2. Обеспечить в Арендном Имуществе наличие исправной системы водоснабжения, электропроводной системы и системы природного газа, а также возможность их беспрепятственного использования Арендатором; Арендодатель обеспечит установление отдельного счетчика воды, природного газа и электроэнергии на арендной площади. Арендодатель обязуется при выявлении какого-либо дефекта водоснабжения, электропроводной системы и системы природного газа

ფილიალში/სერვის-ცენტრში).
3.4. საიჯარო გადასახადი მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. საიჯარო ქირაში არ შედის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, სატელეფონო მომსახურებისა და ინტერნეტკავშირის ხარჯები, რომელსაც იხდის "მოიჯარე".
3.5. მეიჯარე იღებს ვალდებულებას გადაიხადოს საჯარო რეესტრის სააგენტოში საიჯარო ხელშეკრულების დასარეგისტრირებლად საჭირო თანხის ნახევარი კერძოდ 27,5 ლარი, რომელსაც მოიჯარე ჩამოაჭრის მეიჯარეს პირველი საიჯარო ქირის ანგარიშზე ჩარიცხვისთანავე.
3.6. მხარეები უფლებამოსილი არიან, კანონმდებლობაში ცვლილებების, ბაზრის კონიუქტურის თუ სხვა ცვლილების შემთხვევაში, მოახდინონ საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვის ინიცირება. საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლა წარმოებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების ხელმოწერის გზით.

## 4. საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული უფლებები

4.1. საიჯარო ქონებაზე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელია "მეიჯარე".
4.2. თუ, "მეიჯარე" საიჯარო ქონებას მესამე პირზე გაასხვისებს, შემძენი იკავებს "მეიჯარის" ადგილს და მასზე გადადის საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. "მეიჯარე" პასუხს აგებს, რომ ქონების შემძენთან "მოიჯარის" საიჯარო ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა და პირობების შესაბამისად.
4.3. "მოიჯარე" უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან საიჯარო ქონება აღჭურვა.
4.4. "მეიჯარე" აძლევს თანხმობას "მოიჯარეს", საიჯარო ქონება გადასცეს ქვეიჯარაში მესამე პირს.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "მეიჯარე" მოვალეა:
5.1.1. დროულად გადასცეს "მოიჯარეს" საიჯარო ქონება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში;
5.1.2. უზრუნველყოს საიჯარო ფართში გამართული წყლის, ბუნებრივი აირის და ელექტროგაყვანილობის არსებობა და მოიჯარეს უნდა შეეძლოს დაუბრკოლებლად ისარგებლოს წყლით, ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით. მეიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ფართზე დამოუკიდებელი წყლის, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის მრიცხველის დამონტაჟებას. მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიისა და წყლის გაყვანილობის რაიმე დეფექტის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ აღმოფხვრას

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

незамедлительно устранить дефект за свой счет.

5.1.3. В период существования арендных отношений обеспечить учет Арендатора в качестве абонента в соответствующих органах.

5.1.4. В случае выявления изъяна Арендного имущества, а также в случае аварии или другой неполадки, вызванной не по вине Арендатора, принять незамедлительные меры по ее устранению за свой счет. В случае несоблюдения вышеуказанного условия Арендодатель обязан полностью возместить Арендатору расходы по устранению неполадок;

5.1.5. Выполнять возложенные на него по данному Договору и согласно действующему законодательству прочие обязательства

5.2. Арендодатель имеет право:

5.2.1. Требования от Арендатора своевременной выплаты арендной платы;

5.2.2. Требовать прекращения Договора в соответствии с пунктом 6.4. Договора.

5.3. Арендатор имеет право:

5.3.1. После предварительного письменного извещения Арендодателя за месяца до прекращения настоящего Договора, прекратить Договор в одностороннем порядке. В этом случае Арендатор обязан уплатить Арендодателю Арендную плату за фактический период использования в порядке, указанном в статье 3 настоящего Договора;

5.3.2. Защищать свою собственность от посягательств;

5.3.3.Установки в Арендном Имуществе необходимого для осуществления деятельности оборудования и проводки, также как и перегородок, а также в случае необходимости осуществления реконструкции площади.

5.4. Арендатор обязан:

5.4.1. Надлежащим образом содержать Арендное Имущество; при прекращении данного Договора возвратить Арендное Имущество Арендодателю в предусмотренном Договором состоянии, с учетом нормального износа;

5.4.2. Производить оплату арендной платы в оговоренном в данном Договоре порядке;

5.4.3. выполнять возложенные на него по данному Договору и согласно действующему законодательству прочие обязательства.

## 6. ПРОЧИЕ ПОЛОЖЕНИЯ

6.1. Предусмотренные по данному Договору права и обязанности распространяются на правопреемников и представителей обеих сторон.

6.2. Данный Договор считается прекращенным в случае уничтожения Арендного Имущества или его непригодности для применения в предусмотренных данным Договором целях.

დეფექტი საკუთარი ხარჯით;

5.1.3. უზრუნველყოს საიჯარო ურთიერთობების არსებობის პერიოდში მოიჯარის შესაბამის უწყებებში აბონენტად აღრიცხვა.

5.1.4. საიჯარო ქონებაზე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოასწოროს იგი, ასევე ავარიის ან სხვა უწესრიგობის შემთხვევაში, რაც არ არის გამოწვეული "მოიჯარის" მიზეზით, თავისი ხარჯით მიიღოს სასწრაფო ზომები მათ სალიკვიდაციოდ. ზემოაღნიშნული პირობის დაუცველობის შემთხვევაში, "მეიჯარე" ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს "მოიჯარეს" ნაკლის გამოსასწორებლად გაწეული ხარჯები;

5.1.5. შეასრულოს ამ ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. „მეიჯარეს" უფლება აქვს:

5.2.1. მოსთხოვოს „მოიჯარეს" საიჯარო ქირის დროულად გადახდა;

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ამ ხელშეკრულების 6.4. პუნქტის შესაბამისად,

5.3. "მოიჯარეს" უფლება აქვს:

5.3.1. ერთი თვით ადრე "მეიჯარის" წერილობითი გაფრთხილების შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, "მოიჯარე " ვალდებულია გადაუხადოს "მეიჯარეს" საიჯარო ქირა ფაქტიურად გამოყენებული საიჯარო პერიოდის მიხედვით წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული წესით;

5.3.2. დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი ხელყოფისაგან;

5.3.3. დაამონტაჟოს საიჯარო ფართში საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობები და გაყვანილობა, მოაწყოს ტიხრები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ფართის რეკონსტრუქცია.

5.4. "მოიჯარე" მოვალეა:

5.4.1. მოუაროს საიჯარო ქონებას. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტისას, დაუბრუნოს "მეიჯარეს" საიჯარო ქონება იმ მდგომარეობაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

5.4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაიხადოს საიჯარო ქირა;

5.4.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 6. სხვა დებულებანი

6.1. წინმდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლებზე.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ საიჯარო ქონება განადგურდა ან აღარ გამოდგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით გამოსაყენებლად,

6.3. მხარეებს უფლება აქვთ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს ვადამდე შეწყვიტონ

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

6.3. Стороны, на основании обоюдного соглашения, имеют право в любое время досрочно прекратить данный Договор. В подобном случае оплата арендной платы будет осуществлена за фактический период аренды, в порядке, указанном в статье 3 настоящего Договора.

6.4. Арендодатель, с соблюдением предупредительного срока в два месяца, имеет право требования досрочного прекращения данного Договора, если Арендатор, несмотря на предупреждения со стороны Арендодателя, значительно повреждает Арендное Имущество или создает реальную угрозу его значительного повреждения, не платит Арендную плату в течение трех месяцев подряд, или в том случае, если стороны не пришли к соглашению на счёт арендной платы.

6.5. Настоящий Договор может быть прекращен по соглашению сторон или по требованию одной стороны на основании пунктов 5.3.1; 6.2; 6.4;, 6.6; настоящего Договора, если причиной прекращения (расторжения) Договора является нарушение Арендодателем условий настоящего Договора или действующего законодательства, то Арендодатель обязан возместить Арендатору ремонтных затрат, который понёс арендатор с учётом износа.

6.6. Стороны приходят к соглашению пересмотреть размер Арендной платы в период действия Договора. В том случае, если размер Арендной платы не удовлетворит Арендатора, то он уполномочен немедленно прекратить настоящий Договор.

6.7. В случае досрочного прекращения настоящего Договора Арендатор снимает всякую ответственность найти платежеспособного Арендатора, прекращением Договора прекращает отношения с Арендодателем.

6.8. Для целей настоящего Договора «Форс-мажор» означает непреодолимые для сторон и не зависящие от них обязательства, не связанные с ошибками и не усмотрением со стороны Арендатора/Арендодателя и имеющие непредвиденный характер. Такое обстоятельство может быть вызвано войной, стихийными бедствиями, эпидемией, карантином и наложением эмбарго на поставку товара, резкими сокращениями ассигнований и др. Необходимо отправить об указанном сообщение другой стороне как в устной, так и письменной форме.

6.9. Все связанные с настоящим договором споры и разногласия будут решаться путем переговоров. В случае не достижения согласия дело по инициативе истца будет передано на рассмотрение в общий суд по местонахождению банка.

6.10. Любые изменения или дополнения указанного Договора в силе, если они оформлены в письменном виде и подписаны обеими сторонами.

6.11. Настоящий Договор составлен на русском и грузинском, в трёх равносильных экземплярах, по одному

წინამდებარე ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, საიჯარო ქირის გადახდა მოხდება ფაქტობრივად გამოყენებული საიჯარო პერიოდის მიხედვით წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული წესით.

6.4. "მეიჯარეს" უფლება აქვს ორთვიანი გაფრთხილების ვადის დაცვით მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ "მოიჯარე", "მეიჯარის" გაფრთხილების მიუხედავად, საიჯარო ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას, არ იხდის საიჯარო ქირას ზედიზედ სამი თვის განმავლობაში ან ვერ მოხდა შეთანხმება საიჯარო ქირასთან დაკავშირებით.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით წინამდებარე ხელშეკრულების 5.3.1; 6.2; 6.4;, 6.6; პუნქტების საფუძველზე. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) მიზეზია მეიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების ან მოქმედი კანონმდებლობის პირობების დარღვევა, მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს "მოიჯარეს" მის მიერ განხორციელებული რემონტის ხარჯები სრულად, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით.

6.6. მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადაიხედოს საიჯარო ქირის ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქირის ოდენობა არ დააკმაყოფილებს "მოიჯარეს", იგი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6.7. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში "მოიჯარე" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოიძიოს გადახდისუნარიანი "მოიჯარე", ხელშეკრულების შეწყვეტით წყვეტს ურთიერთობას "მეიჯარესთან".

6.8. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მეიჯარის და/ან მოიჯარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს, როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

6.9. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე მოსარჩელის ინიციატივით განსახილველად გადაეცემა საერთო სასამართლოს ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით.

6.10. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილებები ან დამატებები ძალაშია, თუ ისინი წერილობით არის გაფორმებული და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

экземпляру для каждой из сторон, один экземпляр для регистрации в гос. Реестре.

## 7. ЮРИДИЧЕСКИЕ АДРЕСА, БАНКОВСКИЕ РЕКВИЗИТЫ И ПОДПИСИ СТОРОН:

**АРЕНДОДАТЕЛЬ**
**ООО »Диасахлиси»**
**адрес: г. Тбилиси, ул. Хомлели №3а**
**И/Н 208185186**
**«ПриватБанк»**
**К/ Б: CAVOGE 22**
**Расчётный счёт: 36080300000004**
**Директор Гурам Гулбани**

**/ Гурам Гулбани /**

**АРЕНДАТОР**
**АО «приватбанк»**
**Г. Тбилиси, пр. Церетели №114**
**И/№203838678**
**Кор.счет: 700161102**
**Председатель правления Богдан Лесюк**

**/Б. Лесюк/**

6.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე 3 თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლარად. თითოეული მხარისათვის, ერთი ეგზემპლარი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ჩასაბარებლად.

## 7. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

**“მეიჯარე”**

**შპს ”დიასახლისი”**
**მის: ქ. თბილისი, ხომლელის #3ა**
**ს/ნ 208185186**
**სს „პრივატბანკი“**
**ბანკის კოდი: CAVOGE 22**
**ა. ანგარიში: 36080300000004**
**დირექტორი გურამ გულბანი**

**/გურამ გულბანი/**

**“მოიჯარე”**

**ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №114**
**საიდენტიფიკაციო №:203838678**
**კორ.ანგ.: 700161102**
**დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბოგდან ლესიუკი**

**/ბოგდან ლესიუკი/**

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)